1973 წლის გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის, სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების, სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროების, პოლიგრაფიული მრეწველობისა და წიგნის ვაჭრობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების, სტუდენტების — სტუდენტთა რაზმების აქტიური მონაწილეობის ჯგუფს მიენიჭა მთავრობის ჯილდოები. გუშინ გაიმართა ამ ჯილდოების გადაცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ შეკრებილთ გააცნო ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. გ. ჩერქეზიამ გადასცა ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

დაჯილდოებულთა სახელით პარტიასა და მთავრობას დიდი მადლობა გადაუხადეს თბილისის ელექტროქსელის მორიგე ელექტრომონტიორმა ს. ი. ედიბერიძემ, თბილისის № 1 სტამბის დირექტორმა ვ. ი. მენთეშაშვილმა და „საქსაცმონტაჟშენის“ მომონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირმა ნ. ვ. გრიგალაშვილმა.

ო. ე. ჩერქეზიამ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა ახალი დიდი წარმატებანი. (საქინფორმი).

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ 31 მაისს მიიღო კუბელ ქალთა ფედერაციის გენერალური მდივანი დორა კარკანიო და კუბელ ქალთა ფედერაციის ხელმძღვანელი მოღვაწეები ესტერ ველასი და მარგი დელგადო. იგი გულთბილად მიესალმა სტუმრებს და მათი სახით თავისუფლების კუნძულის ყველა მგზნებარე პატრიოტ ქალს, მშრომელ ქალს.

გ. ს. ძოწენიძემ ფედერაციის წარმომადგენლებს გააცნო საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები კომუნისტურ შენებლობაში. ჩვენ სიამაყით აღვნიშნავთ, ხაზი გაუსვა მან, რომ რესპუბლიკის ყველა წარმატება დაკავშირებულია ქალთა აქტიურ როლთან წარმოებაში, მეცნიერებაში, კულტურაში.

დ. კარკანიომ განაცხადა, რომ დელეგაციის ყოფნა საქართველოში მეტად საინტერესო -იყო. ჩვენს შორის გაიმართა გამოცდილების სასარგებლო ურთიერთგაზიარება, თქვა მან, ამ გამოცდილებას გამოვიყენებთ ფედერაციის პრაქტიკულ მუშაობაში.

სოციალური ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა ქვეყანაში ხორციელდება, აღნიშნა შემდეგ დ. კარკანიომ, საშუალებას აძლევენ ქალებს ბედნიერი დედობა შეუხამონ აქტიურ მონაწილეობას შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მიღებაზე იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, რეს-პუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. შ. ვასაძე და ნ. ა. ყვანია, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი პოეტი მ. გ. მარათაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე მ. დ. მგელაძე. საუბარს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. კოკვაძე.

31 მაისს კუბელი ქალები მოსკოვს გაემგზავრნენ. (საქინფორმი).

„ᲩᲐ-900“-ᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲝᲑᲐ

მექანიზატორთა დალოცვილი მარჯვენა...

ᲖᲦᲕᲘᲡ ლურჯი ტალღებივით ირხვევიან ჩაის ლორთქო დუჟები, რომლებიც საკრეფად უხვად არის შემოსული. ერთი დღის დაგვიანებაც კი დანაშაულს უდრის, ფოთოლი გაუხმდება, სიბერეს დაკარგავს და დაბალი ხარისხის პროდუქციას მოგვცემს. ასეთ დროს სიმარჯვეა საჭირო. ეს კარგად იციან წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სახელოვანმა მეჩაიეებმა და მექანიზატორებმა, ამიტომ ადრე დილიდან გვაინ დამეშდე ტრიალებენ საგულდაგულოდ მოვლილ ხალერდოვან პლანტაციებში.

რიონში ეს მეურნეობა ერთადერთი დიდი მწარმოებელია ჩაის ნედლეულისა. **შარშან მეურნეობამ გაშლილ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა, რისთვისაც დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშითა და ფულადი პრემიით.**

ამ დიდმა ჯილდომ მეურნეობის კოლექტივი კიდევ უფრო აღაფრთოვანა და დარაზმა მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დაავალებათა პირნათლად შესრულებისათვის.

მეურნეობაში 623 ჰექტარზეა გადაშლილი „მწვანე ოქროს“ პლანტაციები. წელს აქ ვალდებულებთ უნდა მოიკრიფოს და მრეწველობას ჩაბარდეს 3.570 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ახლა მეურნეობის 380 ჰექტარ სამექანიზაციოდ მომზადებულ ჩაის პლანტაციაში მუშაობენ ჩაის საკრეფი მანქანები. წელს ამ ფართობიდან უნდა მოიკრიფოს 2.250 ტონა „მწვანე ოქრო“, რაც შარშან მანქანებით მოკრეფილ 150 ტონით აღემატება. კიდევ რამდენიმე წელი

მსოფლიო დღეს

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

○ იწიდი

მეგობრული ურთიერთობა

○ რომი

დააპატიმრეს ტერორისტები

ერთსულოვნების ვითარებაში

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის X ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

ბელგრადი, 30 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის X ყრილობის დილის პლენარულ სხდომაზე დელეგატებმა მოისმინეს ინფორმაცია ყრილობის ხუთი კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ. ეს კომისიები ორ დღეს იხილავდნენ საზოგადოებრივ-ეკონომიური, პოლიტიკური განვითარების, ერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცების, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის შემდგომი იდეური და ორგანიზაციული შეკავშირების საკითხებს, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრობლემებს. ყრილობამ ერთსულოვნად დამტკიცა ინფორმაციები კომისიების მუშაობის შესახებ.

დელეგატებმა მიიღეს ყრილობის დასკვნითი დოკუმენტები. მათ შორისაა ორი ზოგადი რეზოლუცია, რომლებიც განსაზღვრავენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ამოცანებს თვითმმართველობის პრინციპებზე შემდგომ სოციალისტურ შენებლობაში, აგრეთვე მშვიდობისათვის, თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. მიიღეს ცალკეული რეზოლუციები ახლო აღმოსავლეთის, ინდოჩინეთის, ჩილეს, განმათავისუფლებელი მოძრაობის თაობაზე, აგრეთვე იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ამოცანების შესახებ ქვეყნის ახალი კონსტიტუციის განხორციელებაში იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის იდეურ, ორგანიზაციულ და საკადრო განმტკიცებაში, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, თავდაცვის დარგში და ა. შ.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის მე-10 ყრილობის დასკვნითს სალამოს სხდომაზე იოსიპ ბროზ ტიტო ერთხმად აირჩიეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარედ შეუზღუდავი ვადით. ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით მიესალმნენ მის არჩევას.

შემდეგ დაამტკიცეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი 165 კაცის შემადგენლობით. დამტკიცებულია აგრეთვე იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის საწესდებო კომისია და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის სარევიზიო კომიტეტის შემადგენლობა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ი. ბროზ ტიტომ, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა დელეგატებს გაწეული ნდობისათვის. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის X ყრილობამ, თქვა მან, სავსებით გაამართლა ჩვენი ქვეყნის შრომელთა მოლოდინი. ი. ბროზ. ტიტომ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტთა კავშირის მუშაობას ახალგაზრდებს შორის, ახალგაზრდობის აღზრდას სოციალისტური პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ყრილობაზე დამსწრე საზღვარგარეთის კომუნისტური, მუშათა, სოციალისტური პარტიების, განმათავისუფლებელი მოძრაობების და სხვა პროგრესული ძალების დელეგაციებს.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის X ყრილობა დახურულად გამოცხადდა. დარბაზში ღერს „ინტერნაციონალი“.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბელგრადი, 31 მაისი. (საკდესი). აქ პირველი პლენუმი გამართა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის X ყრილობამ დაამტკიცა. პლენუმზე აირჩიეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი 38 კაცის შემადგენლობით. შემდეგ გაიმართა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის პირველი სხდომა. სხდომაზე აირჩიეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასკომი. აღმასკომის მდივნად არჩეულია ს. დოლანცი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასკომის მდივნებად — ი. ბილიჩი (კომუნისტთა კავშირის განვითარების, ოიგანიზაციისა და კადრების დარგის პოლიტიკის საკითხებში). ტ. კურტვიჩი (იდეოლოგიური მუშაობისა და პროპაგანდის საკითხებში). მ. პოპოვიჩი (საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის საკითხებში) ვ. სრსენტიჩი (საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის საკითხებში) და ა. გრლიჩკოვი (საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის საკითხებში).

აირჩიეს აგრეთვე იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასკომის 6 წევრი — ი. კუკოჩი, მ. მესისოვიჩი, დ. პოპოვიჩი, დ. სტავრევი, ა. შუკრია და დ. ვიდიჩი.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის საწესდებო კომისიის სხდომაზე ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს მ. ზორიჩი, ხოლო სარევიზიო კომისიის სხდომაზე აღნიშნული კომისიის თავმჯდომარედ — ა. ბოკანოვსკი.

პორტუგალიის პრეზიდენტის გამოსვლა

ლისაბონი, 30 მაისი. (საკდესი). პორტუგალიელმა ხალხმა უნდა შეინარჩუნოს თავისუფლება, რომელიც ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა მოუპოვეს, განაცხადა პორტუგალიის პრეზიდენტმა ა. დი სპინოლამ ქალაქ პორტუში გამართულ მრავალათასიან მიტინგზე გამოსვლისას.

გავიდა ზეიმის პირველი თვე, ახლა დროა საღად ვიფიქროთ მომავალზე: უნდა დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, რომლის ჩახშობასაც ცდილობენ რეაქციული ძალები, თქვა პრეზიდენტმა. პორტუგალიელმა ხალხმა შეიარაღებულ ძალებთან ერთად უნდა გაიალაშქროს იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ქვეყანა ანარქიის გზაზე გადაიყვანონ და ქაოსი გამოიწვიონ ეკონომიკაში, ხაზგასმით აღნიშნა ა. დი სპინოლამ.

წინგადადგმული ნაგიჯი

ნიუ-იორკი, 31 მაისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კ. ვალდჰაიმი მიესალმა სირიისა და ისრაელის ჯარების დაშორიშორების შესახებ შეთანხმების მიღწევას და მას უწოდა დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი და საბოლოო გადაწყვეტის ძიების გზაზე“.

ამასთანავე გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ამ რაიონში ძირითადი პრობლემა, კერძოდ, ყოველსმომცველი პოლიტიკური მოწესრიგება, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია და საჭიროებს ყველა დაინტერესებული მხარის ყოველმხრივ მეცადინეობას.

უსაშველო პრობლემა

ნიუ-იორკი, 31 მაისი. (საკდესი). გვიჭირება ყოველგვარი იმედი, რომ თავრობა შეხვლებს დაარწმუნოს მეწარმენი არ იჩქაროს ფასების მომატება, წერს ამერიკის ყოველკვირეული „ი. ს. ნიუს ენდ ოორლდ რიპორტი“ სტატიაში, რომელიც ეძღვნება ფასებისა და ხელფასისადმი მთავრობის კონტროლის 20 აპრილის გაუქმების შედეგებს.

კონტროლის მოქმედების ვადის გასვლისთანავე, აღნიშნავს ეკონომისტი, დაიწყო ლითონისა და საყოფაცხოვრებო ნივთების მომსახურების, ფართო მოხმარების სხვადასხვა საქონლის ფასებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საფასურის სწრაფი ზრდა. მაგალითად, მეტალურგიულმა კომპანიებმა გამოაცხადეს, რომ მათი პროდუქციის ღირებულებამ მოიმატა საშუალოდ 9 პროცენტით, სპილენძი კი ერთბაშად 18 პროცენტით გაძვირდა.



50 ნახევარი საუკუნე

სახელოვანი ნახევარი საუკუნე

სახვითი ხელოვნების ოსტატთა ეროვნული კადრების სამეცნიერო — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ორმოცდაათი წელი შეუსრულდა.

31 მაისს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ქვეყნის მომბე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები შეიკრიბნენ აკადემიაში, რომლის სავამოფენო დარბაზებში განსხვავებული ყოფილი და ახლანდელი სტუდენტების საკურსო და სადიპლომო ნამუშევრების რეტროსპექტიული გამოფენა.

გამოფენა გახსნა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორმა პროფესორმა გ. თოთობაძემ.

ვერნისაჟზე გამოვიდნენ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ვ. კემფოლი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ნ. ტომსკი, სსრ კავშირის სახალხო მხატვრები, აკადემიკოსები დ. ნალბანდიანი და უ. ჯაფარიძე. მათ თქვეს, თუ რა დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს სახვითი ხელოვნების ოსტატებმა საბჭოთა ხალხის სულიერი კულტურის საგანძურში, უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს უსურვეს დიდი წარმატებანი მხატვართა ახალი თაობების აღზრდაში.

შემდეგ სტუმრებმა და შემოქმედებითი ინტელიგენციის მრავალმა წარმომადგენელმა, პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა მუშაკებმა, უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლებმა მისმა კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა დაათვალიერეს გამოფენა, რომელიც წარმოდგენილი იყო აკადემიის ახლახან რესტავრირებულ საგამოფენო დარბაზებში.

დამთვალიერებელთა თვალწინ გადაეშალა აკადემიის დარბაზების ზოგიერული სილამაზე და სხვადასხვა წლების კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, შ. კაკნაძე, ა. ჩურკინი, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, თ. მოსაშვილი, შ. ყარყარაშვილი, ო. ჩერქეზიანი.

იმავე დღეს საქართველოს საზელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა რესპუბლიკის მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა სამხატვრო აკადემიის 50 წლის იუბილეს. გამოფენა მოაწყვეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, რესპუბლიკის მხატვართა კავშირმა და საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმმა.

გამოფენამ, რომელიც ეროვნულ სამხატვრო აკადემიაში აღზრდილი ქართველი მხატვრების თავისებური შემოქმედებითი აგვარიშია, დამთვალიერებელთა და სტუმართა, საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ნაუადღეს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გაიმართა აკადემიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა გ. თოთობაძემ.

ქართული საბჭოთა ფერწერის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის როლის შესახებ სესიაზე ილაპარაკა აკადემიის ფერწერის კათედრის გამგემ პროფესორმა უ. ჯაფარიძემ. განვლილი 50 წლის მანძილზე აკადემიის მოქანდაკეთა სკოლის საქმიანობის შესახებ დამსწრეთ ესაუბრა ქანდაკების კათედრის გამგე, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ვ. თოფურიძე. გრაფიკის კათედრის გამგე პროფესორი ვ. კაშელავა შეეხო დაზგური და სამრეწველო გრაფიკის კათედრის წვლილს ქართული პოლიგრაფიისა და გრაფიკული ხელოვნების განვითარებაში. არქიტექტურული დაპროექტების კათედრის გამგემ ი. ჩხენკელმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა არქიტექტურის ფაკულტეტს, კერამიკისა და მინის კათედრის გამგემ პროფესორმა გ. ქართველიშვილმა კი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის როლს საქართველოს დეკორატიულ- გამოყენებითი ხელოვნების განვითარებაში.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხელოვნებათმცოდნეობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე დამსწრეთ ესაუბრა სახვითი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე პროფესორი ლ. რჩეულიშვილი.

1 ივნისს გაგრძელდება აკადემიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი, კერძოდ, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება საზეიმო საღამო.

ბაკურ სულაკაურის ... ბ. ... ...

სიმღერის დღესასწაული ატენში

ბორი (საქინფორმი). საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ფოლკლორული კომისიის ინიციატივით ატენის სიონში (VII საუკუნე) გაიმართა სიმღერის დღესასწაული.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველმა მდივანმა გივი ორჯონიკიძემ, რომელმაც დამსწრეთ წარუდგინა ზეიმის მონაწილეები — ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ბორდელა", პლიბანოვის სახელობის კულტურის სახლის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი და ბორის მუსიკალური სასწავლებლის გოგონთა ვოკალური ანსამბლი.

სიმღერის დღესასწაულს დაესწრნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ცნობილი კომპოზიტორები ანდრია ბალანჩივაძე და ალექსი მაჭავარიანი, კომპოზიტორები რევაზ ლაღიძე, ბიძინა კვირნაძე, შოთა მელორავა, გიორგი ცაბაძე, სულხან ნასიძე, ვაჟა აზარაშვილი, ვია ყანჩელი, ფილიპე ლონტი, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მუსიკალური კოლეგიის მთავარი რედაქტორი კონსტანტინე სავა, ჟურნალ „მუზიკალნაია ჟიზნის" რედაქციის თანამშრომლები.

დიდი წარმატება ხვდა „შენ ხარ ვენახს", „მირანდულას", „ოდოიას" და სხვ. შესრულდა აგრეთვე ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ჟურნალ „მუზიკალნაია ჟიზნის" რედაქტორმა იური კორაბლევმ განაცხადა:

— შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა. ასეთი ღონისძიება, რომელიც ნამდვილ დღესასწაულად იქცა, კარგ სამსახურს გაუწევს ხალხის ხელოვნების პროპაგანდის საქმეს. ძალიან მომეწონა ბორის მუსიკალური სასწავლებლის ანსამბლის ოსტატობა და რეპერტუარი, რომელსაც შეუძლია ნარმატებით გამოვიდეს ყველაზე მკაცრი მაყურებლების წინაშეც.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა



ბავშვები კაცობრიობის სიხარულია, მისი ხვალინდელი დღეა. ჩვენს ქვეყანაში ბავშვებისათვის ზრუნვა ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების კანონს შეადგენს. ბავშვებისადმი ასეთი დამოკიდებულება გვიანდერძა ლენინმა. ამ ანდერძისადმი ერთგულმა კომუნისტურმა პარტიამ ამოცანად დაისახა უზრუნველყოს ბავშვთა ბედნიერება.

თითქოს თვით ბუნებამ დააწესა, რომ ბავშვებისა და ვარდ-ყვავილების დღესასწაული ერთად გადავიხადოთ. ამა შეხედეთ ამ პატარებს. ამათზე უკეთეს ყვავილებს რომელი გაზაფხული მოიყვანს!

სურათებზე: ცნობისმოყვარე (ზემოთ — მარცხნივ), ბედნიერი თაობა (ზემოთ — მარჯვნივ), მეგობრები (ქვემოთ — მარცხნივ), ბუტია (ქვემოთ — მარჯვნივ).

გ. ჯაყელის, გ. ბოგოხიასა და ზ. დათუაშვილის ფოტო.

ნარევი

მთვარის ნაწილობრივი დაბნელება

4 ივნისს ღამით მოხდება მთვარის ნაწილობრივი დაბნელება. თბილისის დროით 00 საათსა და 40 წუთზე მთვარის მარცხენა კიდესთან გაჩნდება ოდნავ შესამჩნევი ბნელი ლაქა, ეს არის დედამიწის ჩრდილი, რომელიც თანდათანობით გაიზრდება და 2 საათისა და 17 წუთისთვის დაფარავს მთვარის ჩვენკენ მოქცეული ზედაპირის 83 პროცენტს. ამის შემდეგ მთვარე დაიწყებს დედამიწის ჩრდილიდან გამოსვლას. 3 საათსა და 54 წუთზე მთვარის დაბნელება დამთავრდება. (საქინფორმი).

დამნაშავე დააკავეს

ღამე იყო, როცა თბილისის ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მორიგის ტელეფონმა დარეკა, ყირიმის ქუჩიდან დიასახლისი იტყობინებოდა, რომ მეზობლის ბინაში ქურდი შეაპარულიყო.

შემთხვევის ადგილას წავიდა ოპერატიული ჯგუფი ტ. ალბოროვისა და ს. მამულაშვილის შემადგენლობით. როცა ქურდმა მოახლოებული მილიციელები შენიშნა, მიატოვა ნაძარცვი და სცადა ფანჯრიდან გაპარვა, მაგრამ მილიციის მუშაკებმა სწრაფი, ენერგიული მოქმედებით დააკავეს დამნაშავე. (საქინფორმი).

იშვიათი შემთხვევა

საჩხერე, 30 მაისი. (საქინფორმი). სოფელ პეტრეების მცხოვრების პეტრე მაკასარაშვილის ადგილობრივი ჯიშის ცხვარმა 6 ბატკანი მოიგო.

ბატკნები ნორმალურად იზრდებიან.



პირველი პროგრამა

□ 3 ივნისი

17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ცეროდენას ეკრანი", 18.40 — რუსულენაზე), 19.05 — სამეცნ. პოპულარული ფილმი „რა ვქნათ, რა მოვისმინოთ" (ქართულ ენაზე), 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „მსოფლიოს ნამარხი ქალაქი-მუზეუმი" — ქ. პალმირა, 20.30 — კონცერტი „ხალხური ხელოვნების ოსტატები", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „მხედრული დიდება", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „მე შენ მიყვარხარ" I ნაწილი (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 23.25 — ახალი ამბები.

□ 4 ივნისი

10.05 — ფერადი ტელევიზია: დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის „ხელმარჯვე ოსტატები", 11.00 — კინონარკვევი, 11.15 — ფერადი ტელევიზია: „კინომოგზაურობის კლუბი", 12.15 — მხატვრული ფილმი — „შავი ხელმწიფის საიდუმლო", 17.05 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ბიოლოგიაში, 17.50 — ქართულ ენაში, 18.35 — განცხადებები, 18.40 —მოსწავლეთათვის „მოზარდი და მუსიკა", 19.05 — „მშენებლობა ჭიანურდება — რატომ?", 19.20 — „მე გადმოვცქერი კავკასიონს", 19.50 — სპორტული მომხილვა, 20.10 — სატელევიზიო სპექტაკლი „მე შენ მიყვარხარ" II ნაწილი (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ბავშვობა" — საბავშვო ფილმი, 23.45 — „ახალი ამბები".

□ 5 ივნისი

10.05 — ფერადი ტელევიზია: დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მოსწავლეთათვის — „ჩვენ მოვდივართ პუშკინთან" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.00 — მხატვრული ფილმი „პრივალოვის მილიონები", I სერია, 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ისტორიაში, 17.50 — ქიმიაში, 18.40 — „ახალგაზრდობა" — საატელევიზიო პროგრამა, 19.00 — ფერადი ტელევიზია. ა. ს. პუშკინის დაბადების 175 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან; შესვლების დროს — — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — საერთაშორისო ჟურნალისტთა ფესტივალი — „ახალგაზრდობა", 23.15 — ახალი ამბები.

□ 8 ივნისი

10.05 — ფერადი ტელევიზია, —ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის — „მოდი ზღაპარო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ქართული სატელევიზიო ფილმები, 12.00 — „თქვენთვის მშობლებო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — მხატვრული ფილმი „ერთგული მეგობრები", 14.10 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 14.40 — კინონარკვევი. 14.50 — „ჯანმრთელობა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.10 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 15.55 — „მეგობრობისა და შემოქმედების კავშირი" — ეკონომიური ურთიერთობის საბჭოს 25 წლისთავი. — სტუდიაში — ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს პოლიტიკური მიმოხილველი — ა. კავეზნევი — (გადმოცემა მოსკოვიდან). 16.25 — ფერადი ტელევიზია — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 16.55 — ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მე და ჩემი მეზობლები", 18.00 — „აქაარა დაუჯერებელი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.45 — „კინონიერების სადარაჯოზე", 20.00 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა, 20.45 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ხსნიობი კინოკომედიაში", 23.20 — ახალი ამბები, 23.35 — კინონარკვევი, 24.00 — საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში (გადმოცემა ვარნიდან).

□ 9 ივნისი

10.05 — ფერადი ტელევიზია დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია მოსწავლეთათვის „მაღვიძარა", 11.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია მათემატიკაში, 12.00 — „მუსიკალური კითხვა" (გადმოცემა მოსკოვიდან). 12.30 ფერადი ტელევიზია „დღეს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — „კინოაფიშა", 13.15 — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია ქიმიაში, 14.30 — „ჯადოსნური ეკრანი", 14.50 — „საჭადრაკო სკოლა". 15.15 — მოსწავლეთათვის „გამარჯობა, ბანაკო!", 15.45 — „ჯანმრთელობა" სატელევიზიო პროგრამა, 16.05 — კინონარკვევი, 16.20 — „საერთაშორისო პანორამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.50 — ფერადი ტელევიზია პუშკინის პოეზიის მერვე საკავშირო ზეიმი მიხაილოვსკოეში (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — „გაზაფხულია ჩვენს ქვეყანაში", 18.45 — სატელევიზიო ფილმი, 19.20 — „მზის ილაქანი" სატელევიზიო. საბავშვო თეატრი (გამეორება). 19.55 — საესტრადო კონცერტი, 20.35 — კინონარკვევი, 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ჯალინა ულანოვას დიდ აკადემიურ თეატრში მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს ტრანსლაცია (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ბავშვობა კინოკომედიაში", 23.20 — ახალი ამბები. 23.35 — კინონარკვევი, 24.00 — საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში (გადმოცემა ვარნიდან).

□ 6 ივნისი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის — კონცერტი, 10.55 —მხატვრული ფილმი „ცის ნელმავალი", 17.05 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ისტორიაში, 17.50 — ქიმიაში, 18.40 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა, 19.00 — ფერადი ტელევიზია. ა. ს. პუშკინის დაბადების 175 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან; შესვლების დროს — — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.45 — საესტრადო კონცერტი, 23.15 — ახალი ამბები.



□ 7 ივნისი

10.05 — ფერადი ტელევიზია; დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია „ბავშვობა" — საინფორმაციო პროგრამა, 11.30 — მხატვრული ფილმი „პრივალოვის მილიონები" — II სერია, 17.05 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ფიზიკაში, 17.50 — ისტორიაში, 18.35 — მოსწავლეთათვის — „შრომა — სიხარულის ნაყოფი", 18.55 — განცხადებები, 19.00 — „მწერალი და ცხოვრება", 19.15 — რეპლამა, 19.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბახ ლეონ ერქვა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „კომუნისტები წარმოების ავანგარდში", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მუსიკალური პროგრამა, 23.15 — ახალი ამბები.

მაანდილოსანთა თაოსნობა

მაანდილი ჰკიდია კედელზე

ბოსტანს აწყობს ყველა ზუგდიდელი დიასახლისი

მაანდილი ჰკიდია კედელზე.

საგანგებო, სადა ჩარჩოში ჩასმული, ჯილდოდ მიღებული მანდილის გარშემო გამოფენილია იმ ქალთა ფოტოსურათები, რომლებიც წარმატებით იბრძვიან თავიანთი ქალაქის — ზუგდიდის ახალი წინსვლისათვის.

ჩვენ ვიმყოფებით პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ქალთა შორის მუშაობის საბჭოს თავმჯდომარის, ვეტერანი კომკავშრომელის, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერის თამარ ჟურულორიას კაბინეტში.

ქალაქ ზუგდიდის ქალებს ეს შესანიშნავი ჯილდო-მანდილი 1971 წელს ჩამოუტანა ეურნალ „საქართველოს ქალის" თავიარმა რედაქტორმა, მწერალმა მარიკა ბარათაშვილმა.

— როგორც ყოველთვის, ჯილდოს დიდი მრომითი ამბავლოობით უპასუხეს ჩვენმა სახელოვანმა ქალებმა. მათ გადაწყვიტეს თავიანთი თვალსაჩინო წვლილი შეიტანონ ყველა კეთილ საქმეში — იმაში, რომ ქალაქში იყოს ნამდვილი წესრიგი, სრულდებოდეს გეგმები, კიდევ უფრო გამწვანდეს და გალამაზდეს ზუგდიდი.

შედეგმაც, როგორც იტყვიან, არ დააყოვნა. ვალდებულება სრულდება.

ბოლო პერიოდში ბევრი რამ სიახლე იგრძნობა ქალაქ ზუგდიდში.

საერთო წარმატებებში თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეკრიბდათ და შეაქვთ მანდილოსნებს და ქალიშვილებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ძალღობის სიგელი დაიმსახურა ასორძოცდაათმა ზუგდიელმა ქალმა.

ეს მშვენიერ დღეს თამარ ჟურულორიამ შეიდა საკოლმეურნეო ბაზარში და გამოესაუბრა ბოსტნეულის გამყიდველებს:

— ეს ქორფა წიწმატი სადაურია?

— წყალტუბოდან ჩამოვიტანე, ბატონო, — თქვა გამყიდველმა.

— წყალტუბო სამკუნალო წყლით არის ცნობილი. იქ, თურმე, წიწმატიც მოჰყავთ ჩვენთვის, — ჩაილაპარაკა თამარმა და ახლა მეორეს მიუბრუნდა:

— თქვენი ოხრახუშის სადაურობა მაინტერესებს!

— ეს ქუთაისის მახლობლად დაიბადა, ჩემი ბატონო! — იყო პასუხი. ბევრს აწუხებდა აზრი: რატომ უნდა ყიდულობდეთ ქუთაისსა და წყალტუბოში მოყვანილ ბოსტნეულს? იქაური მიწა არაფრით არა სჯობს ზუგდიდისას. მაშ რაშია საქმე? მთავარია ადამიანი, მონდომება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სირცხვილიც არის და თავმოყვარეობის საკითხიც — ზუგდიდში ცხოვრობდე, ბქონდეს საკარმიდამო ეზო და გარბოდე ბაზარში ჩამოტანილი ქინძის/საყიდლად.

ზუგდიდში ხასწრაფოდ მოიწვიეს ქალთა შეკრება. გაიმართა ბჭობა. გადაწყვეტა: ყველა დიასახლისმა (ის ექიმია, მასწავლებელია, ინჟინერია თუ სხვა სპეციალობის ქალი) მოაწყოს ბოსტანი იმ ანგარიშით, რომ თავის ნაკვეთზე მოიყვანოს ოჯახისათვის საჭირო პროდუქტი.

ზუგდიდელის სუფრას უნდა ამშვენებდეს ბაზრიდან მოტანილი კი არა, საკარმიდამო ნაკვეთზე დაკრეფილი პამიდორი, კიტრი, ბოლოკი, მწვანე ხახვი, ქინძი, ოხრახუში, წიწმატი, არომატული პიტნა, კამა.

— ნუ ვიქნებით ბაზარზე დამოკიდებული, მწყანე წალკოტად გადავაქციოთ საკარმიდამო ნაკვეთები, — ასეთი იყო ზუგდიელ დიასახლისთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

— ბოსტანს ზუგდიდელი ქალი ჩვენს ჩაურევლადაც აწყობდა და აწყობს, — თქვა თამარმა შეკრებაზე, მაგრამ ახლა ამას ეძლევა ორგანიზებული სახე, თანაც, მოგეხსენებათ, რომ აქა-იქ იყვნენ და არიან უგერგილო დიასახლისებიც, რომლებმაც მიწის ფართობი სარეველებს დაუთმეს.

— „უგერგილო" რა ჯანდაბაა? — გაიცინა დარბაზში, ხმაურიც ატყდა.

თამარს გაეღიმა, — „გერგილს" საბა ასე განმარტავს „საქმის მარჯვედ მქნელი". გერგილი გახლავთ შენ, სამარჯვე. ფაა, უგერგილოა ის, ვინც არ არის ფხიანი, მარჯვე, ვისაც არა აქვს კარგი ბოსტნის მოწყობის უნარი.

პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა მოიწონა ქალთა შორის მუშაობის საბჭოს გადაწყვეტილება. და არა მარტო მოიწონა, დახმარება აღმოუჩინა თაოსნობის განხორციელებაში.

— ეს შესანიშნავი, მე ვიტყოდი, პატრიოტული თაოსნობა, — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. კვარაცხელიამ, — საჭიროა მათ დაეხმაროთ პრაქტიკულად, რათა ეს კარგი წამოწყება რეალურ საქმედ იქცეს.

გამოყოფილ იქნა 500 ტონა ტორფი, რომელიც განაწილდა ქუჩების მიხედვით. მეგობარნი დიასახლისებს ეწვევიან აგრონომიული კონსულტაციები.

ზუგდიდის ქუჩებში გაჩნდა მოწოდებები: „უბრუნველყოთ ქალაქში ბოსტნეულის სიუხვე", „თვითეულ ოჯახს თავისი ბოსტანი!"

დიასახლისებს დაურიგდათ სტამბურად დაბეჭდილი „სამასსოვრო", სადაც მითითებულია ბოსტნის აგროწესებს დაცვით დამუშავებაზე.

ბოსტნის საკალდებულო მოწყობის უზრუნველსაყოფად ქუჩის კომიტეტებთან შექმნილია ქალთა ჯგუფები, რომლებიც დასპარეზასა და კონტროლს უწევენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის მებრძოლებს.

ზუგდიდის რაიონული გაზეთი „მებრძოლი" აშუქებს მეგობარნი ქალთა საქმიანობას.

ამ დღეებში ქალთა საბჭომ მოახდინა შემოვლა. გამოირკვა, რომ ბევრი დიასახლისი მთელი სერიოზულობით მოეკიდა ამ საქმეს. ისინი — სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულები — იბრძვიან იმისათვის, რომ სიტყვა საქმედ იქცეს.

ამ საქმეში გამოჩნდა ბევრი მოწინავე. თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს დიასახლისებმა: ბებერი ნაგვაკუამ, ნელი ჭანტურიამ, ბაბუცა მაქაცარიამ, პაშა გეთიამ, ანია ბოსუამ, ლოლა ფიფიამ, აგრაფინა ჩიქოვანმა, ასმათ ჯიქიამ, ანია მიხალოვამ, ცაბუ სალიამ, ნუნუ ქობალიამ, ნადეჟდა სოკოლოვამ, ნონა მიქენაიამ და სხვებმა.

შეჯამდება სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გამოვლინდებიან გამარჯვებულნი. ქალაქში მოეწყობა საუკეთესო მებოსტნე ქალთა ფოტოსტენდი.

ქალაქ ზუგდიდში საკარმიდამო მიწის ნაკვეთი აქვს 8.750 ოჯახს. ამ ფართობზე — 1941 ჰექტარზე — მეტწილად გაშენებულია დაფნა, ვენახი, ციტრუსი, ხეხილი...

და მაინც ბოსტნის მოსაწყობად ვიმოინახა 87 ჰექტარი მიწა. ეს დიდი ფართობია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ კარგი მოვლის პირობებში მიღებული იქნება უხვი მოსავალი და მებოსტნეებს შესაძლებლობა ექნებათ ნამეტი პროდუქტი მიაყიდონ საზოგადოებრივი კვების ობიექტებს.

ახლახან საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პლენუმზეც ხაზგასმით თქვა ქალთა ამ თაოსნობის მნიშვნელობაზე.

გავა დრო, და ზუგდიდელი ქალები ახალი წარმატებებით დაამშვენებენ ჯილდოდ გადმოცემულ, მოწიფებით შენახულ მანდილს.

ვფიქრობთ, ამ თაოსნობას ჩვენს რესპუბლიკაში მიმდევრები გამოუჩნდებიან.

შ. შენგელი.

სურათზე: მოწინავე მებოსტნე ნუნუ ქობალია.

კ. ყუშუნიას ფოტო.

გაყოფილი ქულები...

„დინამო" (თბილისი)-„პახტაკორი" (ტაშკენტი) — 1:1 (1:0).

31 მაისი, თბილისი, „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი ვ. ალლოვი (ლენინგრადი).

„დინამო" — გაგოშიძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი (მჭედლიშვილი), მ. მაჩაიძე, ებრალიძე, გ. მაჩაიძე (წერეთელი), გუცაევი, გ. ნოდია.

„პახტაკორი" — ფილატოვი, ივანკოვი (აშიროვი), ვარიუხინი, მოგილნი, ბახოვი, ივანოვი (იაფაროვი), კორჩენოვი, ბელოვი, ისაკოვი, ფიოდოროვი, ხაძიმანგისი.

გუშინდელ შეხვედრაში დინამოელთა რიგებში კვლავ გამოჩნდა წერეთელი, მაგრამ რაღაც თხუთმეტი წუთის განმავლობაში თამაშში შესვლა ძალზე რთული საქმე იყო. და, ცხადია, ამ შეცვლას მასპინძელთა მოქმედებაში რადიკალური ცვლილება არ მოჰყოლია. ორიოდე სიტყვა გატანილ გოლებზე: 29-ე წუთზე კანთელაძემ გადააწოდა ბურთი ძოძუაშვილს, რომელმაც იგი საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთთან აღმოჩნდა ებრალიძე და ზუსტი თავური დარტყმით გასხა ანგარიში, თამაშის 70-ე წუთზე სტუმრებმა გაითამაშეს კომბინაცია: ხაძიმანგისი-ისაკოვი-ფედოროვი და ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან გაქანცა ანგარიში — 1:1. თბილისელები ცდილობდნენ გადაერჩინათ ქულა, მაგრამ ფინალურ სასტვენამდე შედეგი ალარ შეცვლილა.

თბილისის „დინამომ" გათამაშების შვიდ მატჩში მხოლოდ ოთხი ბურთი გაიტანა.

ო. ნოზაძე.

მატჩები და შედეგები

გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ექვსი მატჩი. აი მათი შედეგები:

„არარატი" — „კაირატი" 1:0

„დინამო" მ. — „დინამო" კ. 1:2

„შახტიორი" — „დნეპრი" 2:1

„ზარია" — „კარპატი" 2:0

„ტორპედო" — „ჩერნომორეცი" 0:0

„ნისტრუ" — ცსკა 3:3

მეცნიერული ანგარიშით

ხოჭვმი. პოლონეთის ნაკრებმა, რომელიც განაგრძობს მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებას, აქ დაამარცხა უნგრეთის ფეხბურთის უმაღლესი ლიგის მოთამაშეებისგან შემდგარი გუნდი — 1:0 (1:0).

სპორტის ამბები

მსატვრული ტანვარჯიში. სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის საპატიო სასეი პირველად მოიპოვა სტავროპოლის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, 19 წლის ნატალია კრაშენინიკოვამ — 47,6 ქულა. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი, ოსკელი ბალიმა შუგროვა ამჯერად მეორე ადგილზე გამოვიდა. მისი შედეგი გამარჯვებულისაზე 0,3 ქულით უარესია. მესამე ადგილზე გამოვიდა 16 წლის კიეველი მოსწავლე ირინა დერიუგინა — 46,85. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე არიან უკრაინისა და ბელორუსიის გუნდები.

ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონმა, ბულგარელმა ათანას კიროვმა (მჩატე წონა) ოქროს მედალი მოიპოვა ვერონაში (იტალია) მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე — 257,5 კგ. (110+147,5). ვერცლის მედალი გადაეცა რიგელ არმიელ ვლადიმერ ანიკინს — 247,5 კგ (110+137,5), ბრონზაოსი — ჩეხოსლოვაკელ კარელ პროლს — 245 კგ (105+140).

ფეხბურთი. ნეაპოლში დამთავრდა ოთხთა საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა ნაკრებმა ფინალში წააგო იტალიის გუნდთან — 3:4 და მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე ადგილი მოიპოვა რუმინეთის ნაკრებმა, რომელმაც გადაწყვიტა მატჩში ფრედ — 3:3 ითამაშა იუგოსლავიის გუნდთან, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდებით უკან მოიტოვა მეტოქე.

მძლეოსნობა. 24 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ბრატისლავაში გაიმართა. სამმაგ ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენმა, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა, თბილისელმა ვიქტორ სანეევმა აჩვენა 16 მეტრი და 99 სანტიმეტრი, რაც მიმდინარე სეზონში საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

ფეხბურთი. ევროპაში მყოფმა არგენტინის ნაკრებმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ემზადება, მეხუთე მატჩი გამართა და მეორე დამარცხება განიცადა. ანგარიში 2:0 სტუთგარტი ფლორენციაში დამამცხა „ფიორენტინას" კლუბმა.

მსოფლიოს ჩემპიონი — ბრაზილიის ნაკრები ფრეს — 1:1 დახჭერდა სტრასბურგში ადგილობრივ გუნდთან შეხვედრაში. მასპინძლები იგებდნენ, მაგრამ თამაშის მე-60 წუთზე ცვლარმა აღადგინა წონასწორობა.

ლაიფციგი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა 95 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ფრედ — 1:1 (0:0) ითამაშა ამხანაგური მატჩი ინგლისის ნაკრებთან.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ვ. გ. ხონელიძე დანიშნა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილედ.

სპორტი

მზე, ზღვა და... „ფიფქი"

სოხუმი, 29 მაისი. (საქინფორმის კორ. თ. ჯიბუტი) მზე სულ უფრო აცხუნებს აფხაზეთის პლაჟებს და ყოველდღიურად სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება ამ მზიური კუთხის ფერთა პალიტრა. მაღალი მთის კეროროტ ავადჰარას ტყეებსა და ხეოპებში კი თოვლი დევს. აქ მოთხილამურეები ნებაზე დასრიალებენ. და იმაში, რომ დღეს მთის კეროროტზე თხილამურები დასრიალებენ და ტურისტები მზის ბანაობას იღებენ, დიდი წვლილი შეიტანა სოჭის ტურისტთა კლუბმა, რომელმაც აქ შექმნა სახამთოო ბაზა „ფიფქი".

ტურისტები და მთამსვლელები დათოვლილ უღელტეხილებს გადმოივლიან ხოლმე და მოდიან „ფიფქის" ბაზაზე. რათა ისრიალონ თხილამურებით, მთაწყინს სამთო ლაშქრობები, ავიდნენ ჭალარა ანჩოს მწვეროვნებზე.

გახურებული საკურორტო სეზონის ამ დღეებში აფხაზეთის უღელტეხილები უკვე გადალახა სამთო ტურიზმის 12 ათასზე მეტმა მოყვარულმა.

„სპორტლოტოს" ტირაჟი

ასეთია „სპორტლოტოსი" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი ტირაჟის შედეგები, რომელიც 30 მაისს გაიმართა მოსკოვში: „სპორტლოტო" — 16 (ტანვარჯიში), 49 (შაში), 36 (ხლალომი), 44 (ფიგურული ციგურაობა), 29 (სპარაშუტო სპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში).

„სპორტლოტო-2" — 39 (ხამბო), 15 (წყალბურთი), 45 (ფეხბურთი), 3 (აკრობატიკა), 37 (ხროლა), 6 (კალათბურთი).

(საკდესი).

ტელევიზია

1 ივნისი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინოდოკუმენტალისტის თვალით", 11.30 — „თქვენთვის, მშობლებო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „დაე, მუდამ იყოს მზე!" — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა, 12.50 — კინონარკვევი, 13.30 — ფერადი ტელევიზია. „ჩვენი პუშკინი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.15 — დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე" (ქართულ ენაზე), 14.35 — კინონარკვევი, 14.55 — რეპორტაჟი სპორტული დარბაზიდან, 15.15 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 15.45 — მოსწავლეთათვის „კონცერტი", 17.15 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 17.45 — „გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის", 18.30 — კინონარკვევი, 18.40 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა, 19.30 — „შრომა და დასვენება" — სატელევიზიო პროგრამა, 20.15 — ფერადი ტელევიზია „საბჭოთა ქვეყნის ბავშვები" — (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საქართველოს სამხატ